

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №477

2001 წლის 24 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფეროს შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ

მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში კლიმატის გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით მკვეთრად იმატა სტიქიურმა უბედურებებმა და ინტენსივობამ, რაც უდიდეს ზიანს აყენებს ქვეყნების ეკონომიკას. სტიქიური მოვლენების დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი ჰიდრომეტეოროლოგიური ხასიათისაა და ამიტომ ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის გამართულ ფუნქციონირებას. ბოლო წლებში ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ უკიდურესად გაართულა და ფუნქციონირების შეწყვეტის საშიშროებამდე მიიყვანა ეს სფერო.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით:

1. დამტკიცდეს საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფეროს შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებათა თანდართული სახელმწიფო პროგრამა.

2. საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფერო ჩაითვალოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

3. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ (ნ. თურნავა), ფინანსთა სამინისტრომ (ზ. სოსელია) 2002-2006 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას გაითვალისწინონ საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში.

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (გ. ბურდული), ფინანსთა სამინისტრომ, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს პრეზიდენტთან უცხოური ინვესტიციების (საინვესტიციო) საკონსულტაციო საბჭომ (თ. ბასილია) უზრუნველყონ სახელმწიფო პროგრამის წარდგენა დონორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებში.

ე. შევარდნაძე

საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფეროს შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებათა სახელმწიფო პროგრამა

I. საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფეროში შექმნილი მდგომარეობა

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონის შესაბამისად შეიქმნა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 ოქტომბრის №473 ბრძანებულებით დამტკიცდა დეპარტამენტის დებულება.

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ეკონომიკის დარგების, საქართველოს სამხედრო ძალების, მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლის უზრუნველყოფა ჰიდრო-მეტეოროლოგიური და გარემოს ფონური დაბინძურების მდგომარეობის

ფაქტობრივი და პროგნოზული ინფორმაციით, მათ შორის სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებისა და გარემოს ექსტრემალურად მაღალი დაბინძურების შესახებ.

დეპარტამენტი მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული მეტეოროლოგიური, აეროლოგიური, რადიოლოკაციური, ავიამეტეოროლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, ოზონომეტრიული, აქტინომეტრიული, ჰიდროლოგიური, თოვლსაზვავო, წყალსაბალანსო, გარემოს დაბინძურებაზე დაკვირვების სადგურებიდან და საგუშაგოებიდან, აგრეთვე დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან მიღებულ მონაცემთა შეკრების, დამუშავების, ანალიზის, შენახვისა და გავრცელების ურთიერთდაკავშირებული სისტემების მეშვეობით.

ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით უკიდურესად მწირი დაფინანსების პირობებში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფეროში შეიქმნა ურთულესი მდგომარეობა. მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტა მუშაობა სახელმწიფო სადამკვირვებლო ქსელის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. ვერ მოხერხდა მორალურად და ფიზიკურად მოძველებული, მწყობრიდან გამოსული ხელსაწყო-დანადგარების შეკეთება და ახლით შეცვლა. ბოლო ათი წლის განმავლობაში არ შეკეთებულა მეტეოროლოგიური სადგურების შენობები და ზოგიერთი მათგანი უკვე დანგრევის პირასაა მისული. უაღრესად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი დაკვირვების პუნქტებიდან ინფორმაციის ოპერატიულად გადმოცემის სფეროში. მნიშვნელოვნადაა გართულებული როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს ფონური დაბინძურების ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასება, ისე პროგნოზირება.

საერთაშორისო არხებით ბოლო წლებში მიღებული დახმარებების გარეშე მდგომარეობა გაცილებით რთული იქნებოდა. 1994 წლიდან საქართველო მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის წევრია და ჩართულია მეტეოროლოგიური ინფორმაციის გლობალური გაცვლის საერთაშორისო სისტემაში. მეტეოროლოგიური ინფორმაციის მწვავე დეფიციტის პირობებში სწორედ ამ არხით მიღებული ინფორმაცია გახდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის პროგნოზის საყრდენი. უშუალოდ მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის, ან მისი შუამდგომლობით დონორი ქვეყნების მიერ დაფინანსებულია და რეალიზებული საქართველოს ჰიდრომეტეოსამსახურის დახმარების 15-ზე მეტი პროექტი, მაგრამ საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის წინაშე იმდენად დიდი პრობლემებია, რომ მხოლოდ საერთაშორისო დახმარებებით მათი გადაწყვეტა შეუძლებელია.

სფეროს შესანარჩუნებლად საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეგრადაციის პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს და ქვეყნისათვის ამ სტრატეგიული დარგის აღდგენა შემდგომ შეუძლებელი გახდება.

ეს პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფეროს შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებებს 2002-2006 წლებში.

II. სახელმწიფო პროგრამის მიზანი

სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფეროში ოპერატიულ-საწარმოო საქმიანობის აღდგენას და განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. ამ სფეროში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურების შექმნას, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების სისტემების ეტაპობრივ განახლებას, არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოების აღდგენას, ქვეყანაში ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს ფონური დაბინძურების შესახებ ინფორმაციით მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესებას.

III. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების ეტაპობრივად განხორციელება:

1. მეტეოროლოგიური სადამკვირვებლო სამუშაოები

მეტეოროლოგიური სადგურების ტექნიკური გადაიარაღება და თანამედროვე სატელეკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვა, შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი, მეტეოროლოგიური მოედნების შეკეთება. 2002 წელს აღნიშნული სამუშაოები შესრულდება 18 მეტეოროლოგიურ სადგურზე, 2003 წელს 13 მეტეოროლოგიურ სადგურზე, 2004 წელს 13 მეტეოროლოგიურ სადგურზე, 2005 წელს 11 მეტეოროლოგიურ სადგურზე, ხოლო 2006 წელს კი - 13 მეტეოროლოგიურ სადგურზე. სტანდარტულ მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვებები იწარმოებს 68 მეტეოროლოგიურ სადგურზე.

2. სადამკვირვებლო პუნქტების აღჭურვა ავტომატიზებული მეტეოროლოგიური სადგურებით

მაღალმთიანი და ძნელადმისადგომი მეტეოროლოგიური პუნქტების აღჭურვა მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების ავტომატიზებული სადგურებით. 2002 წელს აღნიშნული სადგურით აღიჭურვება 1 მეტეოროლოგიური სადგური, ხოლო მომდევნო წლებში კი ყოველწლიურად ორ-ორი მეტეოროლოგიური სადგური, – სულ 9 მეტეოროლოგიური სადგური.

3. ჰიდროლოგიური სადამკვირვებლო სამუშაოები

ჰიდროლოგიური საგუშაგოების აღჭურვა თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით საქართველოს მდინარეებზე, ტბებზე და წყალსაცავებზე რეგულარული ჰიდროლოგიური ინსტრუმენტული დაკვირვებების განახლების მიზნით. 2002 წელს აღიჭურვება 15 საგუშაგო, 2003 წელს 14 საგუშაგო, 2004 წელს 11 საგუშაგო, 2005 წელს 9 საგუშაგო, ხოლო 2006 წელს კი 8 საგუშაგო, – სულ 57 საგუშაგო.

4. აგრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო სამუშაოები

აგრომეტეოროლოგიური დაკვირვებების განახლება 38 სადგურზე, მათ შორის ნიადაგის ტენიანობის ინსტრუმენტულად გაზომვებით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ავტო-ავიამარშრუტული შემოვლების აღდგენა.

5. საზღვაო ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოები

საზღვაო ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე რეგულარული დაკვირვებების სტაციონარული საზღვაო მეტეოროლოგიური სადგურების (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი) ტექნიკური გადაიარაღება, აგრეთვე ახალი სადგურების გახსნა (ყულევი, სუფსა) სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

6. რადიოლოკაციური სამუშაოები

არსებული მეტეოროლოგიური რადიოლოკაციური სადგურების (თელავი, საგარეჯო) მოდერნიზაცია და ახალი დოპლერის ეფექტზე მომუშავე სადგურების შექმნა და მონტაჟი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი). მათი საშუალებით ქვეყნისა და მისი უშუალო მოსაზღვრე საპყრო სივრცეში მიმდინარე ატმოსფერული მოვლენების კონტროლი.

7. რადიოზონდირების მოდერნიზებული სისტემების დანერგვა

რადიოზონდირების მოდერნიზებული სისტემების დანერგვა თბილისსა და ბათუმში.

8. ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების მასალების დამუშავება და რეჟიმულ-კლიმატური მონაცემთა ბაზების შექმნა

ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების მანქანური დამუშავება და ინფორმაციული ბაზების შექმნა, მონაცემთა ბაზების საერთაშორისო და საუწყებათაშორისო გაცვლის სისტემის ორგანიზება, ინფორმაციული არქივის შექმნა და მომსახურების ორგანიზება – საპროექტო, სამშენებლო, სატრანსპორტო, გარემოსდაცვითი და მართვის სისტემების ფაქტობრივ-რეჟიმული მასალებით უზრუნველყოფა.

9. თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სისტემების განვითარება

მეტეოროლოგიური ტელეკავშირის კომპიუტერული სისტემების დანერგვა ქალაქებში – თბილისი, ქუთაისი, ბათუმი. აგრეთვე დაკვირვების სახელმწიფო ქსელიდან ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის შეგროვების მიზნით რადიოკავშირის კომპიუტერული სისტემების დანერგვა.

10. თანამედროვე საინფორმაციო პროგნოზული სისტემების განვითარება

ინტეგრირებული ტექნოლოგიების სისტემების დანერგვა, რაც გულისხმობს სინოპტიკოსის, აგრომეტეოროლოგის, ეკოლოგის, ჰიდროლოგის, კლიმატოლოგის ავტომატიზებული სამუშაო ადგილებით აღჭურვას.

11. სატელიტური საინფორმაციო სისტემების განვითარება

მაღალი გარჩევითობის ორბიტული თანამგზავრული ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში მიმღები სისტემის დანერგვა, მონაცემთა პირველადი დამუშავება და გავრცელება, აგრეთვე მეორე თაობის გეოსტაციონარული თანამგზავრული ინფორმაციის მიმღები სისტემის დანერგვა თბილისში. ამასთანავე, თანამგზავრულ მონაცემთა არქივაციის სისტემის დანერგვა. თანამგზავრული ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში მიმღები სისტემის დანერგვა ბათუმში.

12. ავიაციის მეტეოროლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო სატელეკომუნიკაციო და პროგნოზული სისტემების განვითარება

მეტეოდაკვირვებების ავტომატიზებული კომპლექსების დანერგვა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სენაკის, ფოთისა და თელავის ავიამეტეოროლოგიურ სადგურებზე. აგრეთვე, ამ სადგურების აღჭურვა თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სისტემებით. თბილისის ავიამეტ-ცენტრში თანამგზავრული ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში მიმღები სისტემის დანერგვა. თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ავიამეტცენტრებში სინოპტიკოსის ავტომატიზებული სამუშაო ადგილების დანერგვა.

13. რადიაციული ფონური დაბინძურების მონიტორინგის სამუშაოები

სადგურების ტექნიკური გადაიარაღება და სპექტრალური ლაბორატორიის აღჭურვა სათანადო აპარატურით. ექსპედიციური სამუშაოების საწარმოებლად მოძრავი ლაბორატორიის შექმნა. დიდი ჰაერწარმადობის ფილტრ-სავენტილაციო დანადგარის დამონტაჟება და თბილისში ატმოსფერულ ჰაერში რადიონუკლიდების კონცენტრაციაზე დაკვირვების აღდგენა. ზედაპირული წყლების ექსპედიციური გზითა და ატმოსფერული ნალექების სინჯების შეკრება მათი შემდგომი ანალიზისათვის ლაბორატორიაში.

14. გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სამუშაოები

ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლების, ატმოსფერული ნალექების, ნიადაგების დაბინძურების ხარისხზე დაკვირვების სამუშაოების აღდგენა. ლაბორატორიების აღჭურვა თანამედროვე აპარატურით და დანადგარების ქიმიური ანალიზებისათვის აუცილებელი რეაქტივებითა და მასალებით.

15. სტიქიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოები

ზვავების ხელოვნურად ჩამოშვების სამუშაოთა ორგანიზება. საქართველოს სამხედრო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავების ხელოვნურად ჩამოშვების სამუშაოთა ორგანიზებისათვის საკომანდო და 4 სტაციონარული საცეცხლე პუნქტის მოწყობა.

ნალექების ხელოვნური სტიმულირებისა და სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოთა ორგანიზება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ორი საკომანდო და 20 სარაკეტო პუნქტის მოდერნიზაცია, ორგანიზება და ავტონომიური კავშირგაბმულობის სისტემის მოწყობა (თელავი, საგარეჯო).

16. გაუდაზნობის პროცესებისა და გვალვების მონიტორინგის სამუშაოები

საქართველოს ტერიტორიაზე გვალვის სიხშირის განმეორადობის, აგრეთვე მონიტორინგის ავტომატიზებული სისტემის შექმნა, გვალვის მონიტორინგის პრაქტიკული რეალიზაცია და პროგნოზირება 2002-2006 წლებისათვის.

17. კლიმატის კვლევის სამუშაოები

კლიმატის კვლევის სამუშაოების შესრულება, საინფორმაციო და საცნობარო მასალების მომზადება, კლიმატის ცვლილებების შესწავლა საქართველოს ტერიტორიისათვის, კლიმატის ცვლილების მოწყვლადობის შეფასება და ამ ცვლილების მიმართ ადაპტაციის ღონისძიებათა შემუშავება.

18. საქართველოს ზედაპირული წყლების სახელმწიფო კადასტრის წარმოება

საქართველოს მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების ჰიდროლოგიური რესურსების შესწავლა, წელიწდეულებისა და ცნობარების მომზადება.

19. ზედაპირული წყლებისა და თოვლის საფარის მონიტორინგი (ექსპედიციური სამუშაოები)

საქართველოს ტერიტორიაზე სამიებო-საექსპედიციო სამუშაოთა შესრულება სტიქიური მოვლენების შესწავლისა და მათი პროგნოზირების მიზნით. სავლე-ექსპედიციური სამუშაოების შესრულება. საქართველოს მთიან რეგიონებში თოვლის მარშრუტული აგეგმვა, ღვარცოფული და ზვავსაშიში კერების მონიტორინგი, ზვავების კადასტრი, გლაციოლოგიური სამუშაოები ცენტრალური კავკასიონის (მათ შორის ყაზბეგის რაიონში) 14 მყინვარზე, მდინარეთა კალაპოტური პროცესების შესწავლა, დატბორვის ობიექტების ნიშნულების დადგენა.

20. „ტრასეკას“ ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუშაოები

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა. ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა შეკრების, დამუშავების, გავრცელებისა და პროგნოზირების სისტემისა და მომხმარებელთა ოპერატიული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სპეციალიზებული პროგნოზების მეთოდების შექმნა.

21. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების ახალი მეთოდების დამუშავება და დანერგვა; ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის რაციონალიზაცია, რადიოლოკაციურ-თანამგზავრული სისტემის გამოყენების ოპტიმიზაცია; გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სრულყოფა; ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფის მეთოდების დამუშავება.

პროგრამაში არ არის გათვალისწინებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (სამაჩაბლო) ტერიტორიაზე განსახორციელებელი ღონისძიებები.

IV. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების სფეროს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ამ სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და/ან უცხოური ინვესტიციები.

სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციისათვის აუცილებელი ხარჯების მოცულობა (ათას ლარებში) და შემსრულებელთა საშუალო რიცხოვნობა

წელი	2002	2003	2004	2005	2006	2002-2006
ხარჯების მოცულობა	3778.6	7848.8	8083.2	7108.2	4554.9	31373.7
შემსრულებელთა რიცხოვნობა	970	993	998	1010	1047	–

შენიშვნა: პროგრამის ხარჯებში არ არის გათვალისწინებული სახსრები დეპარტამენტის მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად.

სახელმწიფო პროგრამის ღონისძიებათა ნუსხა და მათი განხორციელებისათვის საჭირო ხარჯის მოცულობა წარმოდგენილია დანართში.

V. სახელმწიფო პროგრამის რეალიზებიდან მოსალოდნელი შედეგები

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ეტაპობრივად რეალიზება ქვეყანაში უზრუნველყოფს:

- 68 ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის შენობა-ნაგებობის მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. სტანდარტული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-დანადგარების (მათ შორის ცხრა ავტომატიზებული მეტეოროლოგიური სადგურის) შეძენას;
- 57 ჰიდროლოგიური საგუშაგოს აღდგენას;
- დეპარტამენტის 5 რეგიონალურ და ცენტრალურ სატელეკომუნიკაციო სამსახურში თანამედროვე ინფორმაციული სისტემების დანერგვას;
- მეორე თაობის გეოსტაციონარული და მაღალი გარჩევითობის ორბიტული თანამგზავრებიდან ინფორმაციის მიღების სისტემების დანერგვას;

- სინოპტიკოსის, აგრომეტეოროლოგის, ეკოლოგის, ჰიდროლოგის, კლიმატოლოგის ავტომატიზებული სამუშაო ადგილების შექმნას;
 - სახელმწიფო სადამკვირვებლო ქსელის ოპერატიული კავშირგაბმულობის კომპლექსური საშუალებებით აღჭურვას;
 - რადიომეტრული ლაბორატორიის შექმნას და ატმოსფერული მინარევების გადატანის მოდელების შემუშავებას;
 - 1991-2001 წლების რეჟიმული ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა დამუშავებას და ინფორმაციული ბაზების შექმნას;
 - თოვლის მარშრუტულ აგეგმვას და საქართველოს მდინარეებზე საგაზაფხულო წყალდიდობის პროგნოზის შედგენას;
 - კლიმატის კვლევის სამუშაოთა შესრულებას;
 - სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ეკონომიკის დარგების, საქართველოს სამხედრო ძალების, მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლების ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს ფონური დაბინძურების მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციით თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მომსახურებას;
 - მოკლე და გრძელვადიანი ჰიდრომეტეოროლოგიური, განსაკუთრებით სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების, პროგნოზების გამართლებადობის გაზრდას;
 - თავდაცვის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და მეურნეობის სხვა დარგებისათვის სპეციალიზებული ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების ხარისხის ამაღლებას;
 - კლიმატური, აგროკლიმატური და წყლის რესურსების მრავალწლიურ მონაცემთა სისტემატიზაციას და სრულყოფას;
 - წყლის რესურსების აღრიცხვიანობის საიმედოობას;
 - გარემოს მავნე ქიმიური, მათ შორის რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებაზე დაკვირვებისა და კონტროლის გაუმჯობესებას;
 - კლიმატის გლობალური ცვლილებების, ოზონის შრის გაიშვიათებისა და გაუდაბნოების ფიზიკური პროცესების შესწავლასა და პროგნოზირებას;
 - ზამთრის პერიოდში საქართველოს საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის გამტარუნარიანობის გაზრდას;
 - არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოთა აღდგენას;
 - სეტყვისაგან მიყენებული ზარალის 80-90 პროცენტით შემცირებას;
 - სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებისა და გარემოს ექსტრემალურად მაღალი დაბინძურების შემთხვევების პროგნოზირებას და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და ქვეყნის მოსახლეობის დროულად გაფრთხილებას. მათი გამომწვევი მიზეზებისა და გავრცელების მასშტაბების დადგენას და ზარალის ოპერატიულად შეფასებას;
 - „ტრასეკას“ მომხმარებელთა ოპერატიულ მომსახურებას, სპეციალიზებული პროგნოზირების გაუმჯობესებას.
- სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას, ეკონომიკის უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებას, ხელს უწყობს მისი თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებას და ქვეყნის მიერ საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.
- მსოფლიოში მიღებული გათვლებით ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში ჩადებული ერთი დოლარი იძლევა 6-10 დოლარის ეკონომიკურ ეფექტს.

საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სფეროს შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებათა

სახელმწიფო პროგრამის დანართი

(ათას ლარებში)

№	სახელმწიფო პროგრამის ღონისძიებათა დასახელება კომპონენტების მიხედვით	ღონისძიებათა რეალიზაციისათვის აუცილებელი საერთო ხარჯები 2002-2006 წწ.					
		სულ	2002	2003	2004	2005	2006
1	2	3	4	5	6	7	8
1	<i>მეტეოროლოგიური სადამკვირვებლო სამუშაოები</i>						
1.1.	თბილისი (ვაშლიჯვარი)	25.2	22.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.2.	<i>კახეთის მხარე</i> თელავი	51.2	48.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.3.	საგარეჯო	23.2	0.8	0.8	20.0	0.8	0.8
1.4.	დედოფლის წყარო	23.2	0.8	20.0	0.8	0.8	0.8
1.5.	გურჯაანი	18.2	0.8	0.8	0.8	15.0	0.8
1.6.	ყვარელი	25.2	22.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.7.	ლაგოდეხი	20.2	0.8	0.8	17.0	0.8	0.8
1.8.	ახმეტა	23.2	0.8	0.8	0.8	0.8	20.0
1.9.	შირაქი	23.2	0.8	0.8	0.8	0.8	20.0
1.10.	<i>ქვემო ქართლის მხარე</i> ბოლნისი	42.2	39.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.11.	მანგლისი	19.2	0.8	16.0	0.8	0.8	0.8
1.12.	გარდაბანი	16.2	0.8	0.8	13.0	0.8	0.8
1.13.	მარნეული	20.2	17.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.14.	წალკა	20.2	0.8	17.0	0.8	0.8	0.8
1.15.	თეთრი წყარო	26.2	23.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.16.	დმანისი	21.2	0.8	0.8	0.8	0.8	18.0
1.17.	სამგორი	19.2	0.8	0.8	0.8	16.0	0.8
1.18.	<i>შიდა ქართლი</i> გორი	42.2	39.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.19.	ხაშური	22.2	0.8	19.0	0.8	0.8	0.8
1.20.	კასპი	17.2	0.8	0.8	0.8	14.0	0.8
1.21.	<i>მცხეთა-მთიანეთის მხარე</i> მუხრანი (მცხეთა)	19.2	0.8	0.8	16.0	0.8	0.8
1.22.	ახალგორი	23.2	0.8	20.0	0.8	0.8	0.8
1.23.	დუშეთი	23.2	0.8	0.8	20.0	0.8	0.8
1.24.	ფასანაური	38.2	0.8	0.8	0.8	35.0	0.8
1.25.	თიანეთი	17.2	0.8	0.8	0.8	0.8	14.0
1.26.	ყაზბეგი	18.2	15.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.27.	გუდაური	18.2	15.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.28.	ბარისახო	18.2	0.8	0.8	0.8	0.8	15.0
1.29.	<i>იმერეთის მხარე</i> ქუთაისი	38.2	0.8	35.0	0.8	0.8	0.8
1.30.	სამტრედია	38.2	35.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.31.	საქარა (ზესტაფონი)	37.2	34.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.32.	წიფა (ხარაგაული)	17.2	0.8	0.8	14.0	0.8	0.8
1.33.	საჩხერე	37.2	0.8	0.8	0.8	34.0	0.8
1.34.	ტყიბული	17.2	0.8	0.8	0.8	0.8	14.0
1.35.	წყალტუბო	18.2	0.8	0.8	0.8	0.8	15.0
1.36.	ჭიათურა	15.2	0.8	0.8	0.8	0.8	12.0
1.37.	დიმი	23.2	0.8	20.0	0.8	0.8	0.8
1.38.	თერჯოლა	23.2	0.8	0.8	20.0	0.8	0.8
	<i>გურიის მხარე</i>	38.2	0.8	0.8	35.0	0.8	0.8

1.39.	ჩობატაური						
1.40.	ანასელი	25.2	22.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.41.	ლანჩხუთი	18.2	0.8	0.8	0.8	15.0	0.8
1.42.	ბახმარო	23.2	0.8	20.0	0.8	0.8	0.8
1.43.	<i>სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარე</i> ზუგდიდი	22.2	0.8	19.0	0.8	0.8	0.8
1.44.	სენაკი	45.2	0.8	42.0	0.8	0.8	0.8
1.45.	ფოთი	22.2	19.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.46.	მარტვილი	20.2	0.8	0.8	17.0	0.8	0.8
1.47.	თორსა (ხოზი)	23.2	0.8	0.8	0.8	20.0	0.8
1.48.	მესტია	37.2	34.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.49.	ხაიში	18.2	0.8	0.8	0.8	0.8	15.0
1.50.	<i>რჭალის და ქვემო სვანეთის მხარე</i> ამბროლაური	40.2	0.8	37.0	0.8	0.8	0.8
1.51.	ლენტეხი	18.2	0.8	0.8	15.0	0.8	0.8
1.52.	ცაგერი	38.2	0.8	0.8	0.8	35.0	0.8
1.53.	შოვი	18.2	15.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.54.	ონი	18.2	0.8	0.8	0.8	0.8	15.0
1.55.	<i>სამცხე-ჯავახეთის მხარე</i> ახალციხე	49.2	46.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.56.	აბასთუმანი	19.2	0.8	0.8	16.0	0.8	0.8
1.57.	ბორჯომი	21.2	0.8	18.0	0.8	0.8	0.8
1.58.	ახალქალაქი	19.2	16.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.59.	ფარავანი	39.2	0.8	0.8	0.8	36.0	0.8
1.60.	ბაკურიანი	18.2	0.8	15.0	0.8	0.8	0.8
1.61.	ადიგენი	18.2	0.8	0.8	0.8	0.8	15.0
1.62.	ნინოწმინდა	18.2	0.8	0.8	0.8	0.8	15.0
1.63.	<i>აჭარის ავტ. რესპუბლიკა</i> ბათუმი	25.2	0.8	22.0	0.8	0.8	0.8
1.64.	ქობულეთი	21.2	0.8	0.8	18.0	0.8	0.8
1.65.	ჩაქვი	20.2	0.8	0.8	0.8	17.0	0.8
1.66.	ქედა	27.2	24.0	0.8	0.8	0.8	0.8
1.67.	ხულო	20.2	0.8	0.8	0.8	17.0	0.8
1.68.	შუახევი	18.2	0.8	0.8	0.8	0.8	15.0
	სულ	1700.6	525.0	363.2	265.8	299.6	247.0
2	<i>სადამკვირვებლო პუნქტების აღჭურვა ავტომატიზირებული მეტეოროლოგიური სადგურებით</i>						
2.1.	თბილისი (ცენტრი)	206.3	206.3	0	0	0	0
2.2.	ყაზბეგი (მაღალმთიანი)	206.5	0.8	204.8	0.3	0.3	0.3
2.3.	ჯვრის გად.	207.0	0.8	0.8	204.8	0.3	0.3
2.4.	მთა საბუეთი	210.4	0.8	0.8	0.8	0.8	207.2
2.5.	ბახმარო	209.9	0.8	0.8	0.8	207.2	0.3
2.6.	მამისონის გად.	208.9	0.8	207.2	0.3	0.3	0.3
2.7.	ომალო	206.8	0.5	0.5	0.5	0.5	204.8
2.8.	ზეკარის გად.	205.1	0.8	0.8	0.8	202.4	0.3
2.9.	გოდერძის გად.	209.4	0.8	0.8	207.2	0.3	0.3
	სულ	1870.3	212.4	416.5	415.5	412.1	413.8
3	<i>ჰიდროლოგიური სადამკვირვებლო სამუშაოები</i>						
3.1.	მდ. მტკვარი - ქ. თბილისი	12.0	12.0	0	0	0	0
3.2.	სამგორის წყალსაცავი - ქ. თბილისი	5.0	5.0	0	0	0	0
1	2	3	4	5	6	7	8
3.3.	<i>კახეთის მხარე</i> მდ. ალაზანი - ს. ბირკიანი (ახმეტა)	5.0	5.0	0	0	0	0
3.4.	მდ. ალაზანი - ს. შაქრიანი (თელავი)	5.0	0	5.0	0	0	0
3.5.	მდ. ალაზანი - ს. ჭიაური (ლაგოდეხი)	7.0	0	0	7.0	0	0

3.6.	მდ. სტორი – ს. ლეჩური (თელავი)	7.0	0	0	0	7.0	0
3.7.	მდ. ინწობა – ს. საბუე (ყვარელი)	5.0	0	0	0	0	5.0
3.8.	<i>ქვემო ქართლის მხარე</i> მდ. ქცია-ხრამი – ს. ედიკილისა (წალკა)	5.0	5.0	0	0	0	0
3.9.	მდ. მაშავერა – ს. კაზრეთი (ბოლნისი)	5.0	0	5.0	0	0	0
3.10.	მდ. დებედა – ს. სადახლო (მარნეული)	5.0	0	0	5.0	0	0
3.11.	წალკის წყალსაცავი – წალკა	10.0	0	10.0	0	0	0
3.12.	<i>შიდა ქართლის მხარე</i> მდ. დიდი ლიახვი-შესართავთან(გორი)	10.0	10.0	0	0	0	0
3.13.	მდ. მეჯუდა – ქ. გორი	5.0	0	5.0	0	0	0
3.14.	მდ. მტკვარი – ს. გრაკალი	10.0	10.0	0	0	0	0
3.15.	<i>მცხეთა-მთიანეთის მხარე</i> მდ. თერგი – დ. ყაზბეგი	5.0	5.0	0	0	0	0
3.16.	მდ. ქსანი – ს. კორინთა (ახალგორი)	5.0	0	5.0	0	0	0
3.17.	მდ. არაგვი – ს. ჩინთი (დუშეთი)	5.0	0	0	5.0	0	0
3.18.	მდ. თეთრი არაგვი - დ. ფასანაური (დუშეთი)	10.0	0	0	0	10.0	0
3.19.	მდ. თეთრი არაგვი – ს. ციხისძირი	10.0	10.0	0	0	0	0
3.20.	მდ. შავი არაგვი-შესართავთან (ფასანაური)	10.0	0	0	0	10.0	0
3.21.	მდ. ფშავის არაგვი-ს. მალაროსკარი (დუშეთი)	10.0	0	0	0	0	10.0
3.22.	მდ. იორი – ს. ლელოვანი (თიანეთი)	5.0	0	0	0	0	5.0
3.23.	მდ. იორი – ს. ორხევი (თიანეთი)	5.0	0	5.0	0	0	0
3.24.	სიონის წყალსაცავი - დ. სიონი (თიანეთი)	5.0	0	5.0	0	0	0
3.25.	ჟინვალის წყალსაცავი - დ. ჟინვალი	5.0	0	0	5.0	0	0
3.26.	<i>იმერეთის მხარე</i> მდ. რიონი – დ. ნამოხვანი (წყალტუბო)	7.0	7.0	0	0	0	0
3.27.	მდ. ყვირილა – ს. საჩხერე	5.0	0	0	0	5.0	0
3.28.	მდ. ყვირილა – ქ. ზესტაფონი	5.0	0	0	5.0	0	0
3.29.	მდ. ძირულა – ს. წევა (ზესტაფონი)	5.0	0	5.0	0	0	0
3.30.	მდ. ჩხერიმელა – დ. ხარაგაული	5.0	0	0	0	5.0	0
3.31.	მდ. ხანისწყალი – ქ. ბაღდათი	5.0	0	0	0	0	5.0
3.32.	<i>გურიის მხარე</i> მდ. სუფსა – დ. ჩოხატაური	7.0	0	7.0	0	0	0
3.33.	მდ. ნატანები – ს. ნატანები(ოზურგეთი)	7.0	7.0	0	0	0	0
3.34.	<i>სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე</i> მდ. ენგური-ს. ხაიში (მესტია)	10.0	0	0	10.0	0	0
3.35.	მდ. ხობი – ს. ლეგახარე (ჩხოროწყუ)	5.0	5.0	0	0	0	0
3.36.	მდ. რიონი -ს. ზემო ჭალადიდი (სენაკი)	7.0	0	0	0	7.0	0
3.37.	მდ. რიონი – ჩრ. ტოტი – ქ. ფოთი	10.0	0	0	0	0	10.0
3.38.	მდ. რიონი – სამხ. ტოტი – ქ. ფოთი	5.0	0	0	5.0	0	0
3.39.	მდ. ტეხურა-ს. ნაქალაქევი (სენაკი)	5.0	0	5.0	0	0	0
3.40.	ტბა პალიასტომი – ქ. ფოთი	5.0	0	0	0	0	5.0
3.41.	ჯვრის წყალსაცავი – ჯვარი	10.0	0	0	10.0	0	0
3.42.	<i>რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე</i> მდ. რიონი – ქ. ონი	7.0	7.0	0	0	0	0
3.43.	მდ. რიონი - ს. ალპანა (გაგერი)	7.0	0	7.0	0	0	0
3.44.	მდ. ლაჯანური – ს. ორბელი (გაგერი)	5.0	0	0	0	5.0	0
3.45.	მდ. ცხენისწყალი – ს. ლუჯი(ლენტეხი)	5.0	0	0	0	0	5.0
3.46.	მდ. ცხენისწყალი – ს. რცხმელური (ლენტეხი)	5.0	0	0	5.0	0	0
3.47.	<i>სამცხე-ჯავახეთის მხარე</i> მდ. მტკვარი – ს. ხერთვისი	5.0	0	5.0	0	0	0
3.48.	მდ. მტკვარი – ს. მინამე (ახალციხე)	7.0	7.0	0	0	0	0
3.49.	მდ. მტკვარი – ს. ლიკანი (ბორჯომი)	7.0	0	0	7.0	0	0
3.50.	მდ. ქობლანი – დ. ადიგენი	5.0	0	0	0	0	5.0
3.51.	მდ. ფარავანი – ს. ხერთვისი (ასპინძა)	7.0	0	0	0	7.0	0
3.52.	მდ. ფოცხოვის წყალი – ს. სხვილისი (ახალციხე)	5.0	5.0	0	0	0	0
3.53.	ტბა ფარავანი – ს. რადიონოვკა (ნინოწმინდა)	5.0	0	5.0	0	0	0
	<i>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა</i>	5.0	5.0	0	0	0	0

3.54.	მდ. კინტრიში – ს. კოხი (ქობულეთი)						
3.55.	მდ. ჭოროხი - ს. მირვეთი (ხელვაჩაური)	5.0	0	5.0	0	0	0
3.56.	მდ. ჭოროხი – ს. ერგე	5.0	0	0	5.0	0	0
3.57.	მდ. აჭარის წყალი – დ. ქედა	5.0	0	0	0	5.0	0
	სულ	364.0	105.0	79.0	69.0	61.0	50.0
4	<i>აგრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო სამუშაოები</i>						
4.1.	აგრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება ნიადაგის ტენიანობის ინსტრუმენტალური გაზომვების ჩატარებით						
	<i>კახეთის მხარე</i>						
4.1.1.	თელავი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.2.	ყვარელი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.3.	დედოფლის წყარო	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.4.	გურჯაანი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.5.	ლაგოდეხი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.6.	შირაქი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
	<i>ქვემო ქართლის მხარე</i>						
4.1.7.	ბოლნისი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.8.	დმანისი	1.5	0	0	0.5	0.5	0.5
4.1.9.	გარდაბანი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.10.	მარნეული	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.11.	წალკა	1.5	0	0	0.5	0.5	0.5
4.1.12.	ველი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
	<i>შიდა ქართლი</i>						
4.1.13.	გორი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.14.	ხაშური	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
	<i>მცხეთა-მთიანეთის მხარე</i>						
4.1.15.	მუხრანი (მცხეთა)	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.16.	ახალგორი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.17.	დუშეთი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.18.	თიანეთი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.19.	გუდაური	1.5	0	0	0.5	0.5	0.5
	<i>იმერეთის მხარე</i>						
4.1.20.	სამტრედია	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.21.	საქარა (ზესტაფონი)	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.22.	დიმი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.23.	საჩხერე	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.24.	ტყიბული (თერჯოლა)	1.0	0	0	0	0.5	0.5
	<i>სამცხეთა-ჯავახეთის მხარე</i>						
4.1.25.	ანასეული	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.26.	ლანჩხუთი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.27.	ჩოხატაური	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
	<i>სამცხეთა-ჯავახეთის მხარე</i>						
4.1.28.	ზუგდიდი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
	<i>რეზონანსის დაკვირვების მხარე</i>						
4.1.29.	ამბროლაური	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.30.	ცაგერი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
	<i>სამცხეთა-ჯავახეთის მხარე</i>						
4.1.31.	ახალციხე	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.32.	ასპინძა	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.33.	ახალქალაქი	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.34.	ბაკურიანი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
	<i>აჭარის ავტ. რესპუბლიკა</i>						
4.1.35.	ქობულეთი	1.0	0	0	0	0.5	0.5
4.1.36.	ჩაქვი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
4.1.37.	ქედა	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5

4.1.38.	ხულო	2.0	0	0.5	0.5	0.5	0.5
4.2.	სასოფლო-სამეურნეოსავარგულების ავტოდა ავიმაზრუნველყოფის შემოღების ჩატარება	100.0	20.0	20.0	20.0	20.0	20.0
	სულ	180.5	28.0	36.5	38.0	39.0	39.0
5	<i>საზღვაო ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოები</i>						
5.1.	ბათუმი	116.2	116.2	0	0	0	0
5.2.	ქობულეთი	100.0	0	0	100.0	0	0
5.3.	ფოთი	116.2	116.2	0	0	0	0
5.4.	ყულევი	200.0	0	200.0	0	0	0
5.5.	სუფსა	200.0	0	200.0	0	0	0
	სულ	732.4	232.4	400.0	100.0	0	0
6	<i>რადიოლოკაციური სამუშაოები</i>						
6.1.	არსებული რადიოლოკაციური სადგურების მოდერნიზაცია და დაკვირვებების წარმოება (რუისპირი, საგარეჯო)	250.0	125.0	125.0	0	0	0
6.2.	ახალი დოპლერის ეფექტზე მომუშავე რადიოლოკატორების შეძენა, მონტაჟი, გაშვება და დაკვირვებების წარმოება ქუთაისში, ბათუმში და თბილისში	6240.0	180.0	2020.0	2020.0	2020.0	0
	სულ	6490.0	305.0	2145.0	2020.0	2020.0	0
7	<i>რადიოზონდირების მოდერნიზებული სისტემის დანერგვა</i>						
7.1.	თბილისი	960.0	0	600.0	120.0	120.0	120.0
7.2.	ბათუმი	840.0	0	0	600.0	120.0	120.0
	სულ	1800.0	0	600.0	720.0	240.0	240.0
8	<i>ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების მასალების დამუშავება და რეჟიმულ-კლიმატურ მონაცემთა ბაზების შექმნა</i>						
8.1.	რეჟიმული მეტეოროლოგიური მონაცემების დამუშავება და ინფორმაციული ბაზების შექმნა	560.0	44.0	80.0	136.0	150.0	150.0
8.2.	მონაცემთა ბაზების საერთაშორისო და საუწყებო-საშორისო გაცვლის სისტემის ორგანიზაცია	138.0	8.0	15.0	25.0	45.0	45.0
8.3.	მონაცემთა ბაზების დაგროვება, შენახვა- განახლება და მათი შემადგენლობის არასანქცირებული ცვლილებებისაგან დაცვა	173.0	8.0	35.0	40.0	45.0	45.0

1	2	3	4	5	6	7	8
8.4.	ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებებისა და გაზომვების მონაცემთა ბაზების სისტემატიზაცია და საცნობარო მასალების მომზადება	141.0	19.0	15.0	27.0	40.0	40.0
8.5.	მეტეოროლოგიური დაკვირვებებისა და ქსელის მეთოდური ხელმძღვანელობა, მონაცემთა კონტროლი	131.0	10.0	24.0	27.0	35.0	35.0
8.6.	ჰიდროლოგიური ქსელის მეთოდური ხელმძღვანელობა, დაკვირვების მასალების ანალიზი და კონტროლი	38.0	8.0	6.0	6.0	9.0	9.0
8.7.	ჰიდროლოგიური მონაცემების დამუშავება	45.0	11.0	7.0	7.0	10.0	10.0
8.8.	აგრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო	139.0	8.0	24.0	27.0	40.0	40.0

	ქსელის მეთოდური ხელმძღვანელობა, დაკვირვების მასალების ანალიზი და კონტროლი						
8.9.	ინფორმაციული არქივის შექმნა და მომსახურების ორგანიზაცია – საპროექტო, სამშენებლო, სატრანსპორტო, გარემოსდაცვითი და მართვის სისტემების მიმართულებათა ფაქტობრივ-რეჟიმული მასალებით უზრუნველყოფა	81.0	14.0	12.0	15.0	20.0	20.0
	სულ	1446.0	130.0	218.0	310.0	394.0	394.0
9	<i>თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სისტემების განვითარება</i>						
9.1.	მეტეოროლოგიური ტელეკავშირის კომპიუტერული სისტემის დანერგვა ტელეკომუნიკაციის და სატელიტურ მონაცემთა ცენტრში (თბილისი)	1.295.0	330.0	215.0	250.0	250.0	250.0
9.2.	რადიოკავშირის კომპიუტერული სისტემის დანერგვა (თბილისი)	20.0	20.0	0	0	0	0
9.3.	სატელეკომუნიკაციო კომპიუტერული სისტემის დანერგვა აჭარის ჰ/მ დეპარტამენტში, კოლხეთის ჰმს-ში, (2 კომპლექტი)	120.0	0	60.0	60.0	0	0
9.4.	ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტობრივი და პროგნოსტიკული პროდუქციის მომხმარებლამდე დაყვანა სატელევიზიო სტუდია „საქმეტელ“-ს საშუალებით	100.0	0	100.0	0	0	0
	სულ	1535.0	350.0	375.0	310.0	250.0	250.0
10	<i>თანამედროვე საინფორმაციო პროგნოსტიკული სისტემების განვითარება</i>						
10.1.	ინტეგრირებული ტექნოლოგიების სისტემების (იტს) დანერგვა თბილისში	400.0	0	200.0	200.0	0	0
10.2.	ინტეგრირებული ტექნოლოგიების სისტემის ტერმინალით აჭარის ჰიდრო-მეტეოროლოგიის დეპარტამენტის აღჭურვა	120.0	0	0	0	120.0	0
	სულ	520.0	0	200.0	200.0	120.0	0
11	<i>სატელიტური საინფორმაციო სისტემების განვითარება</i>						
11.1.	მაღალი გარჩევითობის ორბიტალური თანამგზავრული ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში მიმღები სისტემის დანერგვა, მონაცემთა პირველადი დამუშავება და გავრცელება თბილისში	607.0	0	305.0	302.0	0	0
1	2	3	4	5	6	7	8
11.2.	თანამგზავრული ინფორმაციის დეშიფრირების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (ანალოგიური და ციფრული მონაცემებისათვის) თბილისში	25.0	25.0	0	0	0	0
11.3.	თანამგზავრულ მონაცემთა არქივიზაციის სისტემის დანერგვა თბილისში	240.0	0	110.0	130.0	0	0
11.4.	მეორე თაობის გეოსტაციონარული თანამგზავრული ინფორმაციის მიმღები სისტემის დანერგვა თბილისში	220.0	120.0	100.0	0	0	0

11.5.	თანამგზავრული ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში მიმღები სისტემის დანერგვა აჭარის ჰმ დეპარტამენტში (ბათუმი)	56.0	0	0	0	56.0	0
	სულ	1148.0	145.0	515.0	432.0	56.0	0
12	<i>ავიაციის მეტეოროლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო სატელეკომუნიკაციო და პროგნოსტიკული სისტემების განვითარება</i>						
12.1	სატელეკომუნიკაციო კომპიუტერული სისტემით ავიამეტცენტრის აღჭურვა (თბილისი)	60.0	0	30.0	30.0	0	0
12.2.	ადგილობრივი ავიაციის მომსახურების აღდგენა (ფოთის, თელავის, მესტიის, ომალოს, ლაგოდეხის, სენაკის) ავიამეტსადგურებზე	100.0	20.0	20.0	20.0	20.0	20.0
12.3.	სატელეკომუნიკაციო კომპიუტერული სისტემის დანერგვა ქუთაისისა და ბათუმის ამს-ში (2 კომპლექტი)	60.0	0	0	30.0	30.0	0
12.4.	ინტეგრირებული ტექნოლოგიების სის-ტემის (იტს) ტერმინალის დანერგვა ავიამეტცენტრში (ქ. თბილისი)	50.0	0	0	50.0	0	0
12.5.	თანამგზავრული ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში მიმღები სისტემის დანერგვა ავიამეტცენტრში (ქ. თბილისი)	56.0	0	0	56.0	0	0
12.6.	„იტს“ ტერმინალის დანერგვა ქუთაისისა და ბათუმის ამს-ში	250.0	0	0	125.0	125.0	0
12.7.	მეტეოდაკვირვებების ავტომატიზირებული კომპლექსების დანერგვა (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ფოთი)	2500.0	0	600.0	700.0	700.0	500.0
12.8.	ელ.ჭექის პელენგატორების ქსელის შექმნა (10 პუნქტი)	500.0	50.0	100.0	150.0	150.0	50.0
	სულ	3576.0	70.0	750.0	1.161.0	1.025.0	570.0
13	<i>რადიაციული ფონური დაბინძურების მონიტორინგის სამუშაოები</i>						
13.1.	ატმოსფერულ ჰაერში გამაგამოსხივების ინტენსივობაზე დაკვირვებების წარმოება ფუნქციონირებად 18 მეტეო-სადგურზე						
13.1.1.	თბილისი	2.7	1.5	0.3	0.3	0.3	0.3
13.1.2.	ბათუმი	2.7	1.5	0.3	0.3	0.3	0.3
13.1.3.	ქუთაისი	2.7	0.3	1.5	0.3	0.3	0.3
13.1.4.	ახალციხე	2.7	1.5	0.3	0.3	0.3	0.3
1	2	3	4	5	6	7	8
13.1.5.	ახალქალაქი	2.7	0.3	0.3	1.5	0.3	0.3
13.1.6.	ბორჯომი	2.7	0.3	0.3	1.5	0.3	0.3
13.1.7.	გორი	2.7	0.3	1.5	0.3	0.3	0.3
13.1.8.	გურჯაანი	2.7	0.3	0.3	1.5	0.3	0.3
13.1.9.	დუშეთი	2.7	0.3	1.5	0.3	0.3	0.3
13.1.10	ზუგდიდი	2.7	0.3	0.3	1.5	0.3	0.3
13.1.11	თელავი	2.7	1.5	0.3	0.3	0.3	0.3
13.1.12.	დედოფლის წყარო	2.7	0.3	0.3	0.3	1.5	0.3
13.1.13.	ლაგოდეხი	2.7	0.3	0.3	1.5	0.3	0.3
13.1.14.	მუხრანი	2.7	0.3	0.3	0.3	1.5	0.3
13.1.15.	ონი	2.7	0.3	0.3	0.3	1.5	0.3

13.1.16.	ფოთი	2.7	0.3	1.5	0.3	0.3	0.3
13.1.17.	საგარეჯო	2.7	0.3	0.3	1.5	0.3	0.3
13.1.18	წალკა	2.7	0.3	0.3	0.3	1.5	0.3
13.2.	ატმოსფერულ ჰაერში გამაგამოსხივების ინტენსივობაზე დაკვირვებების აღდგენა ფუნქციონირებად 12 მეტეო-სადგურზე						
13.2.1.	ანასეული	2.1	0	0	1.5	0.3	0.3
13.2.2.	თეთრი წყარო	2.4	0	1.5	0.3	0.3	0.3
13.2.3.	მარტვილი	1.8	0	0	0	1.5	0.3
13.2.4.	სენაკი	2.4	0	1.5	0.3	0.3	0.3
13.2.5.	მესტია	2.1	0	0	1.5	0.3	0.3
13.2.6.	საქარა	2.1	0	0	1.5	0.3	0.3
13.2.7.	წიფა	2.4	0	1.5	0.3	0.3	0.3
13.2.8.	წყალტუბო	1.8	0	0	0	1.5	0.3
13.2.9.	სამტრედია	2.4	0	1.5	0.3	0.3	0.3
13.2.10.	გუდაუთა	2.1	0	0	1.5	0.3	0.3
13.2.11.	დმანისი	2.1	0	0	1.5	0.3	0.3
13.2.12.	საჩხერე	1.8	0	0	0	1.5	0.3
13.3.	ატმოსფერულ მტვერში რადიონუკლიდების შემცველობის განსაზღვრა 10 მეტეოსადგურზე						
13.3.1.	თბილისი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
13.3.2.	ბათუმი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
13.3.3.	წიფა	2.7	0.7	0.5	0.5	0.5	0.5
13.3.4.	ახალქალაქი	2.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
13.3.5.	ფოთი	2.2	0	0.7	0.5	0.5	0.5
13.3.6.	თელავი	2.2	0	0.7	0.5	0.5	0.5
13.3.7.	წყალტუბო (ქუთაისი)	1.7	0	0	0.7	0.5	0.5
13.3.8.	გუდაური (ფასანაური)	1.7	0	0	0.7	0.5	0.5
13.3.9.	ონი	2.2	0	0.7	0.5	0.5	0.5
13.3.10.	მესტია	1.4	0	0	0.4	0.5	0.5
13.4.	ატმოსფეროში რადიონუკლიდების კონცენტრაციის განსაზღვრა თბილისსა და ბათუმში	35.0	0	20	5	5	5
13.5.	ატმოსფერული ნალექების შეგროვება 10 მეტეოსადგურზე, მათში რადიონუკლიდების შემცველობის განსაზღვრავად	6.3	1.5	1.2	1.2	1.2	1.2
13.6.	მდინარეებში, წყალსაცავებში, წყალში რადიონუკლიდების განსაზღვრავად სინჯების აღება 88 კვეთზე	15.0	3.0	3.0	3.0	3.0	3.0
13.7.	გარემოს ობიექტების სინჯებში რადიონუკლიდების შემცველობის განსაზღვრავად აპარატურის შექმნა	250.0	80.0	60.0	60.0	30.0	20.0
13.8.	ექსპედიციური სამუშაოები	25.0	5.0	5.0	5.0	5.0	5.0
13.9.	ატმოსფერული მინარევების გადატანის მოდელების შექმნა	76.0	20.0	14.0	14.0	14.0	14.0
	სულ	503.0	121.9	123.5	114.8	80.6	62.2
14	<i>გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სამუშაოები</i>						
14.1.	ატმოსფერული ჰაერის მავნე ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების დონეზე დაკვირვებების განხორციელება						
14.1.1.	თბილისი – 10 პუნქტი	184.4	68.0	32.0	28.8	28.8	26.8
14.1.2.	წყნეთი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.3.	რუსთავი – 5 პუნქტი	99.5	30.0	20.0	18.0	18.0	13.5
14.1.4.	ახალციხე – 2 პუნქტი	39.8	12.0	8.0	7.2	7.2	5.4
14.1.5.	ახალქალაქი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.6.	გორი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7

14.1.7.	მარნეული – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.8.	კასპი – 2 პუნქტი	39.8	12.0	8.0	7.2	7.2	5.4
14.1.9.	დავით გარეჯი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.10.	ბორჯომი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.11.	ხაშური – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.12.	დედოფლის წყარო – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.13.	გურჯაანი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.14.	საგარეჯო – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.15.	ბათუმი – 4 პუნქტი	79.6	24.0	16.0	14.4	14.4	10.8
14.1.16.	ზესტაფონი – 5 პუნქტი	99.5	30.0	20.0	18.0	18.0	13.5
14.1.17.	ქუთაისი – 4 პუნქტი	79.6	24.0	16.0	14.4	14.4	10.8
14.1.18.	ზუგდიდი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.19.	ჭიათურა – 2 პუნქტი	39.8	12.0	8.0	7.2	7.2	5.4
14.1.20.	ბახმარო – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.21.	ფოთი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.22.	ოზურგეთი – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.1.23.	ამბროლაური – 1 პუნქტი	19.9	6.0	4.0	3.6	3.6	2.7
14.2	ზედაპირული წყლების მავნე ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებაზე დაკვირვების განხორციელება მდინარეებზე (ფრჩხილებში მითითებულია პუნქტების რაოდენობა): ენგური(4), მულხურა, მესტია-ჭალა, მაგანა, ჩხოუში(2), ხობი, ჭანის-წყალი, რიონი(7), რიონის ჩრ. ტოტი, რიონის სამხ. ტოტი, ჯოჯორა(4), ლუხუნი(2), ყვირილა(4), ძირულა, ჩხერიმელა(2), ტყიბულა(2), ხანისწყალი(2), წაბლარისწყალი, გუბისწყალი (3), ოლასკურა (2), ლაღობა(2), ცხენისწყალი(3), ტეხურა(2), აბაშა, ფიჩორა, სუფსა(3), გუბაზეული, ბახვისწყალი, ნატანები, ბჟუჟა, კინტრიში(2), ყოროლისწყალი, ბარცხანა(2), ჭოროხი, აჭარისწყალი, მტკვარი(11), ფარავანი(2), აღრიჩაი (2), ფოცხოვი, ქვაბლიანი, აბასთუმანი, ბორჯომულა, გუჯარეთისწყალი, სურამულა(2), დიდი ლიახვი(2), ტანა, თემამი, ლეხურა(2), არაგვი(2), თეთრი არაგვი, შავი არაგვი, ფშავის არაგვი, გლდანულა, დიდმის წყალი, ვერე(2), ლოჭინო, ალგეთი(2), ქციახრამი(2), ბეიუქ-ჩაი, მაშავერა(2), დებედა, შულავერი, გარდაბნის არხი(2), იორი(2), ალაზანი(3), სტორი, დიდხევი, დურუჯი, ბურსა, ლაგოდეხის ხევი, ალაზნის არხი(2), თერგი, არღუნი, პირიქითა ალაზანი, თუშეთის ალაზანი. ტბებზე: პალიასტომი, ხოზაფინი, ფარავანი(2), ბაზალეთი, ლისი, კუსტბა, კუმისი, ტაბაწყური, ჯანდარი. წყალსაცავებზე: გალის, ენგურის, ვარციხის, შაორის, ტყიბულის, ჟინვალის, წალკის, სიონის(2), სამგორის (3); კოლექტორი-51.	316.0	65.0	70.0	70.0	55.5	55.5
14.3.	ატმოსფერული ნალექებში დაბინძურების განსაზღვრა 24 პუნქტზე მესტია, ზუგდიდი, ქუთაისი, შოვი, ზესტაფონი, სამტრედია, სენაკი, ბათუმი, ხაშური, ჩაქვი, გორი, ახალციხე, მუხრანი, ბორჯომი, აბასთუმანი, ბაკურიანი, კასპი, თბილისი, ვარკეთილი, ფასანაური, რუსთავი, ბოლნისი, თელავი, ალაზანი	18.0	1.5	3.0	4.5	4.5	4.5

14.4.	საქართველოს ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების 15 რაიონის (28 მინდორი, 1228 ჰა) პესტიციდებით და 14 სამრეწველო ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგების მძიმე ლითონებით დაბინძურებაზე დაკვირვების განხორციელება	248.6	50.0	60.0	60.0	39.6	39.0
	სულ	1543.1	418.5	321.0	303.7	268.8	231.1
15	<i>სტიქიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოები</i>						
15.1.	ზვავსაწინააღმდეგო სამუშაოების ორგანიზება და წარმოება, საქართველოს სამხედრო გზის კომბი-გუდაურის მონაკვეთზე (თბილისი)	470.0	180.0	80.0	70.0	70.0	70.0
15.2.	ნალექების ხელოვნური სტიმულირებისა და სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების ორგანიზება და წარმოება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების 300 ათას ჰა ტერიტორიაზე	2835.0	40.0	320.0	600.0	825.0	1050.0
	სულ	3305.0	220.0	400.0	670.0	895.0	1120.0
16	<i>გაუდაზნობების პროცესების და გვალვის მონიტორინგის სამუშაოები</i>						
16.1.	გაუდაზნობების პროცესების და გვალვის პროგნოზირების და მონიტორინგის მეთოდის შემუშავება	66.0	10.0	13.2	14.2	14.3	14.3
16.2.	გვალვის პროგნოზირების ავტომატიზირებული და პროგრამული სისტემების დამუშავება და რეალიზაცია	93.7	15.0	18.7	20.0	21.5	18.5
16.3.	გაუდაზნობებისა და გვალვის მონიტორინგის განხორციელება	85.7	15.0	20.1	20.0	15.3	15.3
	სულ	245.4	40.0	52.0	54.2	51.1	48.1
17	<i>კლიმატის კვლევის სამუშაოები</i>						
17.1.	კლიმატის განმსაზღვრელი პარამეტრების ინფორმაციული ბაზის შევსება	160.0	110.0	12.5	12.5	12.5	12.5
17.2.	ახალი კლიმატური სტანდარტული ნორმების განსაზღვრა მმო-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით	45.0	9.0	9.0	9.0	9.0	9.0
17.3.	სამშენებლო კლიმატური ნორმატივების დადგენა კლიმატის ცვლილებების დინამიკის გათვალისწინებით	6.0	1.2	1.2	1.2	1.2	1.2
17.4.	ექსტრემალური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების განმეორებადობის სიხშირისა და ინტენსივობის კვლევა	60.0	12.0	12.0	12.0	12.0	12.0
17.5.	საქართველოს კლიმატის ცვლილების კანონზომიერებათა დადგენა უკანასკნელი ათწლეულის მონაცემების გათვალისწინებით	30.0	6.0	6.0	6.0	6.0	6.0

17.6.	საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების სცენარების დამუშავება გლობალური სცენარების გათვალისწინებით	60.0	12.0	12.0	12.0	12.0	12.0
17.7.	საქართველოში მიწათსარგებლობის ცვლილებების შესწავლა კლიმატის ცვლილებასთან კავშირში	60.0	12.0	12.0	12.0	12.0	12.0
17.8.	საქართველოში ნიადაგის ეროზიული პროცესების შესწავლა კლიმატის ცვლილებასთან კავშირში	110.0	40.0	40.0	10.0	10.0	10.0
17.9.	ადამიანის ორგანიზმზე მეტეოროლოგიური პირობების შეფასება კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით	12.0	2.4	2.4	2.4	2.4	2.4
17.10.	კლიმატის ცვლილების მიმართ ეკონომიკის დარგებისა და ბუნებრივი ეკოსისტემების მოწყვლადობისა და ადაპტაციის უნარის შეფასება	440.0	100.0	90.0	85.0	85.0	80.0
17.11.	კლიმატის ცვლილებით განპირობებული მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური საშიშროების შეფასება	10.0	2.0	2.0	2.0	2.0	2.0
	სულ	893.0	306.6	99.1	164.1	164.1	159.1
18	<i>საქართველოს ზედაპირული წყლების სახელმწიფო კადასტრის წარმოება</i>						
18.1	საქართველოს მდინარეების, ტბების და წყალსაცავების ჰიდროლოგიური რესურსების წელიწდეულების მომზადება	600.0	120.0	120.0	120.0	120.0	120.0
18.2.	საქართველოს მდინარეების, ტბების და წყალსაცავების ჰიდროლოგიური რესურსების შესწავლა და ცნობარების მომზადება	350.0	70.0	70.0	70.0	70.0	70.0
	სულ	950.0	190.0	190.0	190.0	190.0	190.0
19.	<i>ზედაპირული წყლებისა და თოვლის საფარის მონიტორინგი (ექსპედიციური სამუშაოები)</i>						
19.1	საქართველოს მთიან რაიონებში თოვლის საბურველის მონიტორინგის წარმოება	39.9	7.9	7.9	7.9	8.1	8.1
19.2	ღვარცოფული და ზვავსაშიში კერების მონიტორინგი	57.5	11.5	11.5	11.5	11.5	11.5
19.3	ზვავების კადასტრი	13.0	2.6	2.6	2.6	2.6	2.6
19.4.	ცენტრალური კავკასიის და ყაზბეგის გამყინვარების (14 მყინვარზე) მონიტორინგი	54.0	10.8	10.8	10.8	10.8	10.8
19.5.	მდინარეთა კალაპოტური პროცესების მონიტორინგი	19.0	4.0	3.7	3.8	3.8	3.7
19.6.	სტიქიური მოვლენების ოპერატიული მონიტორინგი	8.0	2.0	1.0	1.0	2.6	1.4
	სულ	191.4	38.8	37.5	37.6	39.4	38.1
20	<i>"ტრასკას" ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუშაოები</i>						

20.1.	საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა	1400.0	200.0	300.0	300.0	300.0	300.0
20.2.	საზღვაო ტრანსპორტის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა	100.0	20.0	20.0	20.0	20.0	20.0
20.3.	საჰაერო ტრანსპორტის მეტეოროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა (ადგილობრივი საავიაციო მიმოსვლა „ტრასეკას“ ფარგლებში)	100.0	20.0	20.0	20.0	20.0	20.0
20.4.	„ტრასეკას“ უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის მოკლევადიანი და ზემოკლევადიანი ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზირების რიცხვითი მეთოდების შემუშავება და დანერგვა; სტიქიური პროცესებისა და მოვლენების ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა	400.0	50.0	87.5	87.5	87.5	87.5
	სულ	2000.0	290.0	427.5	427.5	427.5	427.5
21	<i>სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები</i>						
21.1.	მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების სრულყოფა	135.0	25.0	30.0	25.0	27.6	27.4
21.2.	ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის რაციონალიზაცია, რადიოლოკაციური თანამგზავრული სისტემის გამოყენების ოპტიმიზაცია	85.0	7.5	20.0	15.0	21.2	21.3
21.3.	გარემოს ფონური დაბინძურების მონიტორინგის სისტემის სრულყოფა	50.0	7.5	20.0	15.0	3.7	3.8
21.4.	ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფის მეთოდების დამუშავება	110.0	10.0	30.0	25.0	22.5	22.5
	სულ	380.0	50.0	100.0	80.0	75.0	75.0
	<i>სულ პროგრამა</i>	31373.7	3778.6	7848.8	8083.2	7108.2	4554.9